

# Newsletter: Tax & Legal

KPMG Georgia

Issue 1  
February 2019

*KPMG Georgia provides tax and legal services. We develop individual approach to build models that meet your business specific needs.*

## ► Law on Accumulative Pension

- On 1 January 2019, the Law on Accumulative Pension came into force (Pension Law). Pension Law obliges employees, employers and state to contribute into the individual pension account of employees administered by newly established Pension Agency. Participation in pension scheme is mandatory for resident Georgian citizen employees and resident foreign national employees with permanent residence permit in Georgia who were under age 55 (for women) and 60 (for men) before 6 August 2018. Participation in the pension scheme is voluntary for resident Georgian citizen self-employed individuals, self-employed resident foreign nationals having permanent residence permit in Georgia and employees who reached the above-mentioned age threshold before 6 August 2018. Employees who were 40 year-old before 6 August 2018 have two months to opt-out from the scheme after expiration of three months period from automatic enrollment.
- Pension Law has been subject to active public discussions from the date of its enactment. Entry of the Pension Law into force has further intensified public discussions and raised number of issues requiring further legislative changes. Among others, the methodology of calculating of pension contributions is of a vital interest for employers participating in the scheme. It seems that calculation of pension contributions illustrated in the instruction issued by the Pension Agency is not in line with the current edition of the Pension Law. For example, for the definition of the term "salary" Pension Law makes reference to the Tax Code of Georgia (TCG). The base for calculating pension contributions in the instruction issued by the Pension Agency contradicts the taxable base determined by TCG. As stated by the representatives of the Pension Agency during public consultations, the calculation principles provided in the instruction is not likely to be changed. However, it is expected to make amendments directly in TCG.

### ► **Civil Code of Georgia**

- According to the changes (effective from 24 January 2019) in the Civil Code of Georgia, if purchase agreement envisages payment in installments and total obligation of the purchaser towards the seller does not exceed GEL 200,000, receipt of the purchase price by the seller shall not be in any form connected to or indexed at foreign currency. The new currency restrictions apply to the loan agreements, bank credits and financial leasing agreements as well.

### ► **Law on Labor Safety**

- On 1 January 2019, the Law of Georgia on Labor Safety came into full force. The law applies to hazardous, hard, harmful and dangerous works as determined by the Government of Georgia in relevant normative act. The law obliges covered entities to comply with set of obligations related to labor safety at workplace and appoint labor safety expert. Failure to register as covered entity as well as breach of the obligations may result in monetary sanctions and/or suspension of activities.

### ► **Tax Code of Georgia**

Number of amendments have been made in Tax Code of Georgia with effect from January 2019.

- Tax sanctions have been softened, namely:
  - The amount of tax penalties imposed as a result of tax audit will be reduced by 50% if the following conditions are met:
    - The tax liability is accepted by a taxpayer;
    - The tax imposed and 50% of the penalties are fully paid within 30 days after the receipt of the tax assessment notice.
  - The penalty for late submission of a tax return/calculation is reduced; namely, if delay does not exceed two months, 5% (instead of 10%) of the tax payable per this tax return/calculation would apply as penalty. If the delay exceeds two months – penalty of 10% (instead of 15% - 30%) of the tax payable will apply;
  - The penalty for understatement of taxes has been reduced for cases where the understatement does not exceed 20% of the tax amount indicated in respective tax return/calculation. Specifically, where the understatement does not exceed 5% of the tax amount indicated in the tax return, penalty of 10% (instead of 50%) of the understatement will apply. In case the

**Kakha Rukhadze**  
Managing Partner,  
Tax & Legal  
+995 322 93 56 95  
[krukhadze@kpmg.com](mailto:krukhadze@kpmg.com)

**Jaba Gvelebiani**  
Head of Legal,  
Senior Manager  
+995 322 93 56 95  
[jgvelebiani@kpmg.com](mailto:jgvelebiani@kpmg.com)

**Ana Mardaleishvili**  
Senior Tax Consultant,  
ACCA  
+995 322 93 56 95  
[amardaleishvili@kpmg.com](mailto:amardaleishvili@kpmg.com)

KPMG Georgia LLC  
5th floor, GMT Plaza,  
4 Liberty Square  
105 Tbilisi, Georgia  
[www.kpmg.ge](http://www.kpmg.ge)

understatement exceeds 5% of the tax amount indicated in the tax return but does not exceed 20% of the said amount, penalty of 25% (instead of 50%) of the understatement will apply;

- The limitation is introduced for penalties for understatement of taxes; namely, penalties imposed as a result of a tax audit should not exceed the taxes assessed as a result of such tax audit;
- The period of late payment interest accrual is limited to 3 years (instead of being unlimited);
- The transportation of goods without a waybill, where the market value of such goods does not exceed GEL 10,000, may be subject of a warning instead of monetary penalty.
- Starting from 2019, microfinance organizations, likewise commercial banks, are entitled to deduct loan loss provisions according to the regulations set by the National Bank of Georgia.
- As a result of amendment to the Organic Law on the National Bank of Georgia, “loan issuing entity” is defined as any business entity having loan/credit receivable from simultaneously more than 20 individuals. In the context of this amendment, the term “pawnshop” has been replaced with the term “loan issuing entity” in the Tax Code of Georgia.
- The benefit of individuals resulting from cancellation of loans (as well as related accrued interest and penalties) issued before 2019 by commercial banks and microfinance organizations has been exempted from Individual Income Tax.
- For filtered and non-filtered cigarettes same (GEL 1.7 for 20 cigarettes) non-ad valorem excise tax has been established instead of a differentiated non-ad valorem excise tax rate. Ad-valorem excise tax rate has been increased (except for non-filtered cigarettes) from 10% to 30%.
- The term of special VAT exemption for unfinished constructions (related to supply of immovable property/associated construction services) has been extended until 1 January 2023; the statute of limitation has been extended accordingly.

The information contained herein is of a general nature and is not intended to address the circumstances of any particular individual or entity. Although we endeavor to provide accurate and timely information, there can be no guarantee that such information is accurate as of the date, it is received or that it will continue to be accurate in the future. No one should act upon such information without appropriate professional advice after a thorough examination of the particular situation.

## საგადასახადო და იურიდიული სიახლეები

### KPMG Georgia

გამოცემა 1  
თებერვალი, 2019

*KPMG Georgia გთავაზობთ საგადასახადო და იურიდიულ მომსახურებას. ჩვენ ინდივიდუალური მიდგომით ვაკეთებთ თქვენზე მორგებულ მოდელს თქვენი ბიზნესის კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.*

#### ► დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონი

- 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი. დაგროვებითი საპენსიო სქემის მიხედვით დასაქმებულები, დამსაქმებლები და სახელმწიფო ვალდებულნი არიან განახორციელონ შენატანები დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საპენსიო სააგენტო. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა რეზიდენტი საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე ყველა იმ რეზიდენტი დასაქმებულისთვის, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტომდე არ შესრულებია 55 წელი ქალის, ხოლო - 60 წელი მამაკაცის შემთხვევაში. სქემაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია რეზიდენტი საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე რეზიდენტი თვითდასაქმებულთათვის და იმ დასაქმებულთათვის, რომელთაც 2018 წლის 6 აგვისტომდე მიაღწიეს ზემოთ აღნიშნულ ასაკობრივ ზღვარს. დასაქმებულები, რომელთაც 2018 წლის 6 აგვისტომდე შეუსრულდათ 40 წელი უფლებამოსილნი არიან გავიდნენ დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გაწევრიანებიდან 3 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ 2 თვის განმავლობაში;
- კანონი ძალაში შესვლის თარიღიდან აქტიური განხილვის საგანი გახდა. კანონის ამოქმედებასთან ერთად საჯარო დისკუსიები კიდევ უფრო გამძაფრდა და გამოიკვეთა რიგი საკითხები, რამაც განაპირობა შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. აღნიშნულ საკითხთაგან სქემაში ჩართული დამსაქმებლებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საპენსიო შენატანების გაანგარიშების მეთოდოლოგია. როგორც ჩანს, საპენსიო სააგენტოს მიერ გამოცემულ ინსტრუქციაში ილუსტრირებული საპენსიო შენატანების გაანგარიშება არ შეესაბამება კანონის მოქმედი რედაქციის შესაბამის ჩანაწერს. მაგალითად, ხელფასის განმარტების მიზნით კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ უთითებს საგადასახადო კოდექსზე, თუმცა, ინსტრუქციაში საპენსიო შენატანების გაანგარიშების ბაზად აღებული სიდიდე წინააღმდეგობაშია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ დასაბეგრ ბაზასთან. საპენსიო სააგენტოს მიერ საჯარო კონსულტაციებისას გაცხადებული პოზიციის მიხედვით, ინსტრუქციაში მოცემული გაანგარიშების პრინციპი სავარაუდოდ არ შეიცვლება, თუმცა, უახლოეს მომავალში შესაძლოა ცვლილებები განხორციელდეს საგადასახადო კოდექსში.

## ▶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

- 2019 წლის 24 იანვრიდან ძალაში შესული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცვლილებების თანახმად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას, თუ განვადებით ნასყიდობის შედეგად მყიდველის ჯამური ვალდებულებები ამავე გამყიდველის მიმართ 200,000 ლარს არ აღემატება, გამყიდველის მიერ ქონების ღირებულების საფასურის მიღება არ უნდა იყოს რაიმე ფორმით მიზმული ან ინდექსირებული უცხოურ ვალუტაზე. სავალუტო შეზღუდვა ასევე ვრცელდება სესხის/საბანკო კრედიტის/ლიზინგის ხელშეკრულებებზე.

## ▶ კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ

- 2019 წლის 1 იანვრიდან სრულად შევიდა ძალაში საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. კანონი ვრცელდება მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, რომელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა შესაბამის ნორმატიულ აქტში. კანონი ავალდებულებს შესაბამის საწარმოებს უზრუნველყონ სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოება და დანიშნონ შრომის უსაფრთხოების ექსპერტი/სპეციალისტი. კანონით გათვალისწინებული სავალდებულო რეგისტრაციის წესების და სხვა ვალდებულებების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს ფულადი სანქციები ან/და საწარმოს საქმიანობის შეჩერება.

## ▶ საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2019 წლის იანვრიდან ამოქმედდა რიგი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

- განხორციელდა საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია:
  - გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმები შეუმცირდება 50%-ით, თუ სრულდება შემდეგი ორი პირობა:
    - წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება აღიარებულია ;
    - საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში სრულად არის გადახდილი დარიცხული გადასახადები და ჯარიმების 50%;
  - შემსუბუქდა ჯარიმა საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების დაგვიანებით წარდგენისათვის, კერძოდ, დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა, თუ ვადაგადაცილების პერიოდი 2 თვეს არ აღემატება გამოიწვევს დაჯარიმებას ამ დეკლარაციის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5%-ის ოდენობით (ნაცვლად 10%-სა), ხოლო თუ ვადაგადაცილების პერიოდი 2 თვეს აღემატება - გადასახადის თანხის 10%-ის ოდენობით (ნაცვლად 15% - 30%-სა);
  - შემსუბუქდა ჯარიმა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირებისათვის იმ შემთხვევებისთვის, როდესაც შემცირებული გადასახადის თანხა არ აღემატება დეკლარაცია/გაანგარიშებაში მითითებული გადასახადის 20%-ს.



კერძოდ, თუ შემცირებული გადასახადის თანხა დეკლარაციაში მითითებული გადასახადის თანხის 5%-ს არ აღემატება, პირი დაჯარიმდება შემცირებული თანხის 10%-ით (ნაცვლად 50%-სა), ხოლო თუ შემცირებული გადასახადის თანხა დეკლარაციაში მითითებული გადასახადის 5%-ზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 20%-ს, პირი დაჯარიმდება შემცირებული თანხის 25%-ით (ნაცვლად 50%-სა);

- დაწესდა ზღვრული ოდენობა გადასახადის შემცირებისათვის დარიცხულ ჯარიმაზე. კერძოდ, პირს საგადასახადო შემოწმების საფუძველზე ვერ შეეფარდება ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული გადასახადების თანხაზე მეტი ოდენობის ჯარიმა;
- შეიზღუდა საურავის დარიცხვის ვადა. კერძოდ, საურავის დარიცხვა წყდება მისი დარიცხვის ვალდებულების წარმოშობიდან სამწლიანი ვადის ამოწურვისას;
- ზედნადების გარეშე საქონლის ტრანსპორტირებისას, როდესაც საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10,000 ლარს, შესაძლებელი გახდა სანქციის სახით გაფრთხილების გამოყენება ფულადი ჯარიმის ნაცვლად.
- 2019 წლის საანგარიშო პერიოდიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კომერციული ბანკების მსგავსად, უფლება მიეცათ გამოეკეთონ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებით „სესხის გამცემი სუბიექტი“ განისაზღვრა, როგორც ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება. აღნიშნული ცვლილების პარალელურად საქართველოს საგადასახადო კოდექსში მოხდა ტერმინის „ლომბარდი“ ჩანაცვლება ტერმინით „სესხის გამცემი სუბიექტი“.
- საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლდა კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ფიზიკურ პირებზე 2019 წლამდე გაცემული სესხის, აგრეთვე მასზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის პატიების შედეგად წარმოშობილი სარგებელი.
- ფილტრიან და უფილტრო სიგარეტს არა ადვალური გადასახადის ნაწილში დიფერენცირებულის ნაცვლად განესაზღვრა აქციზის ერთიანი განაკვეთი - 1.7 ლარი 20 ლერზე. ადვალური გადასახადის ნაწილში (გარდა უფილტრო სიგარეტებისა) გაიზარდა განაკვეთი და განისაზღვრა 30%-ით (ნაცვლად 10%-სა).
- 2023 წლის 1 იანვრამდე გახანგრძლივდა დაუმთავრებელი მშენებლობებისათვის დაწესებული სპეციალური საგადასახადო შეღავათის ვადა, რომელიც ეხება უძრავი ქონების/შესაბამის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების მიწოდების დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას; შესაბამისად გაიზარდა საგადასახადო კოდექსით დაწესებული ხანდაზმულობის ვადა.

#### კაბა რუხაძე

მმართველი პარტნიორი,  
საგადასახადო &  
იურიდიული  
დეპარტამენტი  
+995 322 93 56 95  
[krukhadze@kpmg.com](mailto:krukhadze@kpmg.com)

#### ჯაბა გველებიანი

იურიდიული  
დეპარტამენტის  
ხელმძღვანელი, უფროსი  
მენეჯერი  
+995 322 93 56 95  
[jgvelebiani@kpmg.com](mailto:jgvelebiani@kpmg.com)

#### ანა მარდალეიშვილი

უფროსი საგადასახადო  
კონსულტანტი  
+995 322 93 56 95  
[amardaleishvili@kpmg.com](mailto:amardaleishvili@kpmg.com)

შპს KPMG Georgia  
თავისუფლების მოედანი 4  
მე-5 სართული  
0105 თბილისი  
საქართველო

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ არის განკუთვნილი კონკრეტული ინდივიდის ან ორგანიზაციის საჭიროებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ მოგაწოდოთ ზუსტი და დროული ინფორმაცია, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიძლება იქნას გაეცემი, როგორც გარანტია, რომ ინფორმაცია ზუსტია დოკუმენტის თქვენ მიერ მიღების თარიღზე ან იქნება ზუსტი მომავალში. არავინ არ უნდა დაყრდნობას აქ მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული შემთხვევის სათანადო ანალიზის შედეგად მიღებული პროფესიული რჩევის გარეშე.

© 2019 შპს KPMG Georgia, რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის „KPMG“-ს დამოუკიდებელი ფირმების ქსელის წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative“ („KPMG International“). ყველა უფლება დაცულია. სახელი „KPMG“ და მისი ლოგო წარმოადგენს „KPMG International“-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს.